


კოსტსაზჭოთა გარდაქმნის შედეგები გორის ხამბულის კომბინატისთვის

2020



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN
HOUSE

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

კოსტსაგჭოთა გარდაქმნის შედეგები გორის გამგეულის კომუნიკაციების

2020

ლევან ლორთქიფანიძე
ივანე აბრამაშვილი

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN
HOUSE

FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG

კვლევის ავტორები:

ლევან ლორთქიფანიძე
ივანე აბრამაშვილი

კვლევა მომზადებულია „კავკასიური სახლის“ პროექტის „საქართველოს დეინდუსტრი-ალიზებული ზონების ალტერნატიული ეკონომიკური განვითარება გორის კომბინატის დასახლების მაგალითზე“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

პუბლიკაციაში გამოყენებულია გორის ადგილობრივი არქივიდან მოპოვებული ფოტოები.

შესავალი

1994 წლის ნოემბერში ახალი მოწვევის ბუნდესტაგის პირველი სხდომა გახსნა გერმანელმა მწერალმა და ერთიანი სოციალისტური პარტიის (SED) დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადო მოღვაწემ, შტეფან ჰაიმმა. იგი საკანონმდებლო ორგანოს უპარტიო წევრი გახლდათ, რომელმაც ვერ გაუძლო პარტიულ პოლიტიკურ ურთიერთდაპირისპირებებს და მალევე უარი თქვა სადეპუტატო მანდატზე. პარლამენტის უხუცესმა წევრმა თავის გამოსვლაში განაცხადა: „განა არ არსებობს გამოცდილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებიდან, რომლის გამოყენებაც ჩვენი საერთო მომავლისთვის, გაერთიანებული სახელმწიფოს მომავლისთვის ღირს? ალბათ, არსებობს. მე მათ შორის მოქალაქეებისათვის გარანტირებულ სამუშაო ადგილს, პროფესიონალურ კარიერასა და უპირობოდ ხელმისაწვდომ სახლ-კარს დავასახელებდი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უამრავი ყოფილი მოქალაქე ტყუილად არ აპროტესტებს იმას, რომ მათი ცხოვრებისეული მიღწევები სათანადოდ არ არის შეფასებული, არ არის აღიარებული ან საერთოდ გამოუყენებელი.“¹ ცხადია, ყოფილ დისიდენტს სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე ორიენტირებული რეჟიმის მიმართ არანაირი ნოსტალგია არ ჰქონია. ინტელექტუალს არ სურდა, რომ გერმანიის ისტორიის ჩავლილი ეპოქა გამოცდილების გარეშე გამქრალიყო ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოებისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ დიქტატურაზე უარის თქმა არ ნიშნავს კონკრეტული ეკონომიკური წყობის მუშაობის შედეგად მიღწეული პოზიტიური შედეგების განადგურებას. მწერალს სწამდა, რომ პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის იდეების ერთიან გერმანიაში თანაარსებობა შესაძლებელი იყო.

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, მოქალაქეთა მიერ საყოველთაო დემოკრატიული წესით არჩეულმა დეპუტატებმა ეროვნული დამოუკიდებლობის აქტს მოაწერეს ხელი. დამოუკიდებლობის სამი ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში რამდენჯერმე ჩატარდა კონკურენტული არჩევნები, ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა, დედაქალაქსა და რეგიონებში ფუნქციონირებს მედიის რამდენიმე ასეული საშუალება; სამოქალაქო საზოგადოების რიგებში შესაძლებელია არაერთი ორგანიზაციის მოძებნა, რომელიც ეფექტიანად ცდილობს ადამიანის უფლებების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისა თუ გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას; საქართველომ ინტენსიური კავშირები დაამყარა დასავლურ თანამეგობრობასთან. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ რესპუბლიკამ დემოკრატიის კონსოლიდაციის გზაზე ნამდვილად მიაღწია შესამჩნევ შედეგებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული დღემდე სახელმწიფოში ინტენსიურად ნადგურდება ინდუსტრიული სექტორი. საბჭოთა ეპოქაში მოქმედი სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსი სრულად დაიშალა, ბევრი სანარმო ჯართად გაიყიდა მეზობელი ქვეყნების ახლადგახსნილ თავისუფალ ბაზრებზე. პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის წევრთაგან არავის უფიქრია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში აშენებული ფაბრიკებისა

¹ მე-13 მოწვევის ბუნდესტაგის პირველი სხდომის ოქმი (10.11.1994) იხ. <http://dipbt.bundestag.de/dip21/btp/13/13001.pdf>

და ქარხნების თუნდაც უმცირესი ნაწილის შენარჩუნებასა თუ მოდერნიზებაზე. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არ გამოჩენილა არც ერთი გავლენიანი და სერიოზული საჯარო ფიგურა, რომელიც შტეფან ჰაიმის მსგავს კითხვას დასვამდა და დანაკარგებით სავსე მძიმე წარსულიდან რამდენიმე მიღწევის გადარჩენას შეეცდებოდა. სამწუხაროდ, ბოლო 30 წლის განმავლობაში გაბატონებულმა პრივატიზაციის, სახელმწიფოს ჩაურევლობისა და ბაზრის თვითნებობის პოლიტიკამ საბოლოოდ შეინირა საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი ინდუსტრია, რაც მოსახლეობის მასობრივი მიგრაციისა და უმუშევრობის მიზეზად იქცა.

მოცემული კვლევის მიზანი სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით საქართველოს დეინდუსტრიალიზებული ზონების ისტორიის შესწავლა და ალტერნატიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გამოვლენაა. კვლევის ობიექტად ქალაქი გორი შეირჩა, სადაც 1951-1994 წლებში ბამბეულის ქსოვილების კომბინატი ფუნქციონირებდა. 1960-70-იან წლებში საწარმოში 7 000-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომპლექსი ნულოვან აუქციონზე გაიყიდა, დღეს კი გიგანტური საამქროების ადგილზე მხოლოდ ნანგრევების აღმოჩენაა შესაძლებელი.

„კავკასიური სახლის“ ამ კვლევაში შეგიძლიათ გაეცნოთ გორის ბამბეულის კომბინატის დაარსებისა და განვითარების ისტორიას. აქ მიიღებთ ცნობებს 1990-იან წლებში მიმდინარე პრივატიზაციის ძირითადი მახასიათებლების შესახებ. ტექსტში წარმოდგენილია მეცნიერების, ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალური ადმინისტრაციის თანამშრომელთა მოსაზრებები გორის სამრეწველო განვითარების პერსპექტივების თაობაზე. კვლევის ბოლოს მიმოხილულია საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც პოსტკომუნისტურ პერიოდში ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებულმა ყოფილმა საბჭოთა ქალაქებმა დააგროვეს.

გორში შეგროვებული დოკუმენტური და აუდიოვიზუალური მასალების გაცნობის შემდეგ „კავკასიური სახლის“ გამგეობის თავმჯდომარემ, მწერალმა ნაირა გელაშვილმა რეალობა ორი სიტყვით – „წინსვლა უკუსვლით...“ დაასათაურა. გორის მაგალითზე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შედეგად მიღწეული დემოკრატიული პროგრესის კვალდაკვალ სოციალური სიკეთეების შენარჩუნება ვერ მოხერხდა. დამოუკიდებლობის წლები სოციალურ-ეკონომიკური რეგრესისა და განადგურების ნიშნითაც არის აღბეჭდილი. მწერლის მიერ შერჩეული ფრაზა, ალბათ, ყველაზე უკეთ გამოხატავს კვლევის მთავარ სათქმელს.

თავი 1. გორის გამგებლის ქსოვილების კომბინატი საბჭოთა ეპოქაში

პირველი ნაბიჯები

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის მორიგი ტალღა დაიწყო. კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დაისახა ომის პერიოდში განადგურებული და გაჩერებული სამრეწველო კომპლექსის განახლება და საომარ რეჟიმზე გადასული საწარმოებისთვის ტრადიციული პროფილის დაბრუნება. ინდუსტრიული ბაზის ამუშავების ომისშემდგომ გეგმებში შედიოდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული გარემოებების გათვალისწინება. სტალინის ეპოქის ფუნქციონირებისათვის კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო სისტემები მყარად უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი.²



საბჭოთა კავშირის მმართველი პარტიის მესვეურები საქართველოს ეკონომიკის საყრდენად მოპოვებით და გადამამუშავებელ მრეწველობას, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის კომპლექსსა და კვების ინდუსტრიას მიიჩნევდნენ. თუმცა 1940-იან წლებში საკავშირო საგეგმო კომიტეტის წევრებმა სოციალისტური საქართველოს მეურნეობაში საფეიქრო მრეწველობის სეგმენტის განვითარებაც გადაწყვიტეს, რადგან ქვეყ-

² ინტერვიუ პროფესორ დავით იაკობიძესთან 20.05.2019.

ნის ცენტრალურ რეგიონში, შიდა ქართლში არ არსებობდა არც მასობრივი დასაქმების კერა და არც რომელიმე წიაღისეულის ექსტრაქციისა თუ გადამუშავებისათვის აუცილებელი ხელსაყრელი პირობები. მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის ქარხნებისთვის კი შესაბამისი რაიონები უკვე დიდი ხნის წინ გახლდათ შერჩეული.³ საქართველოში საფეიქრო მრეწველობის ამუშავებისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები არ მოიპოვება. მაგალითად, ქვეყნის კლიმატური პირობები არ იძლევა შესაძლებლობას ბამბის პლანტაციების გაშენებისათვის. თუმცა აღნიშნული მოცემულობა დამაბრკოლებელი გარემოება არ აღმოჩნდა საბჭოთა ეკონომიკის ხელმძღვანელი პირებისთვის. პირიქით, კონკრეტულ რესპუბლიკაში ნედლეულის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა მასა და რომელიმე სხვა რესპუბლიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმის ჩამოყალიბება, რაც საბჭოთა მმართველობის სისტემის პრიორიტეტი გახლდათ.



ქალაქ გორის ადგილობრივ არქივში მრავლად მოიპოვება მასალები, რომლებიც კომუნისტური პარტიის სხვადასხვა სტრუქტურაში რეგიონის ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხილვის პროცესს ასახავს. აღნიშნული მასალების მიხედვით, 1947 წლამდე გორელები ინტენსიურად იკრიბებოდნენ პარტიულ სხდომებსა და თათბირებზე, რათა საჯაროდ გამოეხატათ მზადყოფნა ქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამრეწველო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში მონაწილეობის თაობაზე. მრავალთვიანი შეკრებებისა და პროპაგანდისტული მუშაობის შემდეგ, 1947 წელს გორში ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლობა დაიწყო. ქალაქის ადმინისტრაციამ მშენებლობისათვის სოფელ ტინისხიდის საძოვრების ტერიტორია შეარჩია, რომლის მიდამოებში, მდინარის სიახლოვეს, ადგილობრივთა მიერ კუსტარულად გამართული წისქვილიც ფუნქციონირებდა.⁴

³ ბერძენიშვილი ი. (1965) გორული ქსოვილის ოსტატები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

⁴ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი (1971) თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლობას ოთხი წელიწადი დასჭირდა. საწარმო ექსპლუატაციაში 1951 წლის 1 მარტს შევიდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ექსპლუატაციაში შესვლის დროისთვის საწარმო სრულყოფილად ვერ მუშაობდა. 1954 წლამდე კომბინატში არ არსებობდა ხამი ქსოვილის მოჩითვისთვის აუცილებელი ტექნიკა, ამიტომ პირველადი სამუშაოების შემდეგ მასალა საბოლოო დამუშავებისათვის სხვა რესპუბლიკებში იგზავნებოდა. 1954 წლიდან მოხერხდა საწარმოს სრული აღჭურვა, რამაც შესაძლებელი გახადა მთელი პროცესის ერთ დანესებულებაში წარმართვა და დასრულება.⁵ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ნედლეულით მომარაგებისათვის ძირითადად უზბეკეთის სსრ-ში მოქმედ ბაზებს იყენებდნენ. რიგ შემთხვევებში გორის საწარმოს ნედლეულს აზერბაიჯანის ბამბის მეურნეობებიც აწვდიდნენ.

საწარმოო პროცესის ეტაპები

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი სამ ფაბრიკას აერთიანებდა, რომლებიც თავის მხრივ საამქროებად იყოფოდნენ. სართავი ფაბრიკის საამქროებში ხდებოდა ბამბის გაპენტვა, გაფხვიერება და გასუფთავება. გასუფთავების შემდეგ ამავე ფაბრიკის მუშები ბამბის ხვეულებს ბოჭკოებად ყოფდნენ, მიღებულ ბოჭკოებს წმენდნენ და ვარცხნიდნენ, რათა საბოლოოდ პირველადი ლენტი დაემზადებინათ. ლენტის გათანაბრებისა და პარალელიზაციის შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო ფთილის თითისტარებზე დართვა და ქსელის დამზადება. პირველი ფაბრიკის საბოლოო პროდუქტს დაგრეხილი ქსელი წარმოადგენდა.⁶

კომბინატის მორიგ სეგმენტს საქსოვი ფაბრიკა ქმნიდა. საქსოვი ფაბრიკის ფუნქციებში სახვევი, საქსელე, ძაფსაკვანძი და ძაფსაყრელი სამუშაოების განხორციელება შედიოდა. ამავე ფაბრიკის საამქროებში ხდებოდა სიმაგრის, მედეგობისა და სიგლუვის მისაღწევად ქსოვილის სახამებლით დამუშავება.⁷

საფეიქრო ნაწარმის დამზადებისთვის აუცილებელ საბოლოო სამუშაოებზე პასუხისმგებლობა ქსოვილის გამოსაყვან ფაბრიკას ეკისრებოდა. მისი ამოცანა იყო ხამი ქსოვილის გათეთრება, გატრუსვა, ქიმიური ნივთიერებებითა და საღებავით დამუშავება. უკანასკნელ ეტაპზე ქსოვილის მოხატვა და გრავირება ხდებოდა ხოლმე.⁸

ყველაზე მეტი, ხუთი საამქრო სართავ ფაბრიკაში მუშაობდა. დანარჩენი ორი ფაბრიკა კი სამ-სამ საამქროს აერთიანებდა.

აღსანიშნავია, რომ გორის კომბინატი მხოლოდ ქართლის მთავარ ქალაქში კონცენტრირებული ინფრასტრუქტურისგან არ შედგებოდა. საფეიქრო მრეწველობის მთელს რესპუბლიკაში განვითარების მიზნით კომბინატმა ხელი შეუწყო სხვადასხვა რეგიონულ

⁵ ბერძენიშვილი ი. (1965) გორული ქსოვილის ოსტატები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

⁶ იქვე.

⁷ ჯავახიშვილი ვ. (1995) პირველი ნაბიჯები, გორი: გამომცემლობა „ქართლი“.

⁸ იქვე.

ქალაქებში სამკერვალო ფაბრიკების ქსელის ჩამოყალიბებას. ბუნებრივია, აღნიშნული ქსელი მთლიანად დამოკიდებული იყო გორის საწარმოზე და კომბინატის გეგმის მიხედვით მუშაობდა. 1980-იანი წლების მიწურულისთვის გორის ბამბეულის კომბინატთან დაკავშირებული საქსოვი ფაბრიკები არსებობდა აბაშაში, ატენის ხეობაში, ახალციხეში, ბორითსა და ვანში. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ კომბინატის მუშაობა ქართლის გარდა, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც იყო გაშლილი.⁹

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დანესეხულებები

საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ინდუსტრიალიზაციის პროცესი მხოლოდ ეკონომიკურ მიზნებს არ ემსახურებოდა. ინდუსტრიალიზაციას თავისი სოციალური და კულტურული განზომილებაც ჰქონდა. კომუნისტური პარტიის მმართველი ორგანოები ღიად აცხადებდნენ, რომ სოციალისტური სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენდა აგრარული საზოგადოების გარდაქმნის ტენდენციის დაჩქარება. კომუნისტებისათვის უმთავრესი ამოცანა იყო მოსახლეობაში მუშათა კლასის რაოდენობისა და გავლენის მკვეთრი ზრდა. ამასთანავე, საზოგადოების დანარჩენი ფენებისათვის თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო მშრომელთა კეთილდღეობის მაღალი, მუდმივად მზარდი სტანდარტი. შესაბამისად, საბჭოთა კავშირში ინდუსტრიული ცენტრის ჩამოყალიბება არ ნიშნავდა მხოლოდ საწარმოო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკური სამუშაოების შესრულებას. ინდუსტრიული ცენტრების დაფუძნებას თან ახლდა მასშტაბური და მრავალმხრივი სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაც.¹⁰

საბჭოთა სტანდარტი არ დარღვეულა არც გორის შემთხვევაში. წლების განმავლობაში ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ირგვლივ, მის ბაზაზე, არაერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული დანესეხულება დაარსდა.

თავდაპირველად, კომბინატის მუშაობის მხარდასაჭერად საწარმოო პროცესის დამხმარე სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილებები შეიქმნა. 1950-იანი წლებიდანვე საფეიქრო მრეწველობის უმსხვილეს ქართულ ცენტრში არსებობდა დესინატორთა განყოფილება. დესინატორები იყვნენ პირები, რომლებიც განსხვავებული სტრუქტურის მქონე ქსოვილის მოჩითვის განსაკუთრებული ტექნოლოგიების დანერგვაზე მუშაობდნენ. დესინატორებს ზურგს უმაგრებდა რაციონალიზატორ-გამომგონებელთა განყოფილება. აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლები მიზნად ისახავდნენ ისეთი მეთოდებისა და ტექნიკების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობდა წარმოების დაჩქარებას, სამუშაო ძალის დაზოგვას, ახალი ტიპის დაზგების დამზადებას და ა.შ. გარდა ამისა, საწარმოში 1954 წლიდან სრულყოფილად ამუშავდა ფეიქარ-მხატვართა განყოფილებაც. ფეიქარ-მხატვართა შემოქმედებითი ჯგუფები საფეიქრო ნაწარმის გაფორმების ახალ-ახალ მოდელებს ამუშავებდნენ.¹¹

⁹ ჯავახიშვილი ვ. (1995) პირველი ნაბიჯები, გორი: გამომცემლობა „ქართლი“.

¹⁰ ინტერვიუ პროფესორ ავთანდილ სილაგაძესთან 17.04.2019.

¹¹ ბერძენიშვილი ი. (1965) გორული ქსოვილის ოსტატები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გორის საფეიქრო კომპლექსის განვითარებას თან ახლდა მასთან დაკავშირებული სახალხო განათლების სისტემის ფორმირებაც. კომბინატის ამუშავებიდან რამდენიმე წელიწადში გორში გაიხსნა თბილისის საფეიქრო ტექნიკუმის ადგილობრივი განყოფილება. მისი ერთადერთი მიზანი ახალი კადრების აღზრდა და ახალგაზრდების მომზადება გახლდათ. ფეიქართა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი პროცესის უზრუნველსაყოფად ცალკე შეიქმნა გორის 39-ე ტექნიკური სასწავლებელი. მაშასადამე, კომბინატის გახსნას გორში ორი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ამუშავება მოჰყვა. საფეიქრო საწარმოს გავლენა გავრცელდა ზოგადსაგანმანათლებლო სექტორზეც. კომბინატის მიმდებარედ ფუნქციონირებდა სპეციალიზირებული საშუალო სკოლა. საშუალო სკოლის მოსწავლეები საქართველოს სსრ-ის განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობდნენ, თუმცა მოსწავლეებს შრომის, ხატვისა და ხელგარჯილობის გა-



კვეთილების ნაცვლად სკოლაში სპეციალურად მოწყობილ საფეიქრო საამქროში უწევდათ დროის გატარება. გორელი მოზარდები სკოლის ასაკიდანვე ეცნობოდნენ კომბინატის მუშაობის წესებსა და შრომითი დისციპლინის საფუძვლებს. ამასთანავე, ეუფლებოდნენ საწარმოში დასაქმებისთვის აუცილებელ პირველად უნარ-ჩვევებს.¹² 1995 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი გაგზავნილ წერილში გორელი ფეიქრები აღნიშნავენ, რომ მათ საწარმოში პიკის პერიოდებში 7 000 ადამიანი იყო დასაქმებული. ბუნებრივია, რომ მუშები მარტო არ იყვნენ, ჰყავდათ ოჯახები და შვილები. შესაბამისად, კომბინატი იძულებული იყო, რომ დასაქმებულთა ბავშვების სკოლამდელი აღზრდისათვის ადეკვატური პირობები შეექმნა. 1960-იანი წლებიდან გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატს უშუალოდ ექვემდებარებოდა ორი საბავშვო ბაგა-ბაღი.

¹² ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

1952 წელს, გორის საფეიქრო საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე, სამშენებლო სამუშაოების მიმდებარედ ფუნქციონირება დაიწყო კომბინატის მრავალპროფილიანმა პოლიკლინიკამ, რომელიც საამქროების ამუშავების შემდეგ, 1954 წელს, სრულყოფილ საავადმყოფოდ გადაიქცა. წლების განმავლობაში საავადმყოფოში იზრდებოდა საწარმოს რაოდენობა. სამედიცინო დაწესებულება უშუალოდ ემსახურებოდა ფეიქარ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს, ამასთანავე, სწავლობდა გორელი მშრომელების პროფესიულ დაავადებებსა და მათი პრევენციის გზებს.¹³ მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მთავარ ქალაქში მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო რეგიონში ჯანდაცვის ახალი სტრუქტურების ფორმირებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატს ჰქონდა ინფორმაციის გავრცელებისა და პრესის მრავალენოვანი ინსტიტუტებიც. 1959 წლის პირველი ივლისიდან 1993 წლის მინურულამდე ქალაქში საწარმოს ხელმძღვანელთა მხარდაჭერით გამოდიოდა გაზეთი „გორელი ფეიქარი“, რომელიც ფაბრიკის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, მიღწევებსა და სამომავლო გეგმებს აშუქებდა. ამასთანავე, ხელს უწყობდა დასაქმებულებს შორის ნიგნიერების ამაღლებას, აწვდიდა ცნობებს სოციალისტური სამყაროს უკანასკნელი მიღწევების შესახებ. „გორელი ფეიქარი“ არ გახლდათ ერთადერთი გაზეთი, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობას იღებდნენ კომბინატის ხელმძღვანელი პირები.¹⁴ აღსანიშნავია, რომ 1940-იან წლებში საქართველოში ტექსტილის წარმოების შესახებ მყარი ცოდნა და შრომის ტრადიცია არ არსებობდა. მსხვილი ინდუსტრიული ობიექტის ასამუშავებლად საჭირო გახდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ასეულობით მუშის გორში ჩამოსახლება. კომბინატმა ქალაქის ეთნიკური მრავალფეროვნების ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი. ქართლში გადმოსახლებულმა მუშებმა ქართული ენა არ იცოდნენ, მათი სოციალიზაციისა და საბჭოეთის ცენტრიდან ჩამოსული ინსტრუქტორების ინფორმირებისათვის აუცილებელი გახდა მრავალტირაჟიანი რუსულენოვანი გამოცემის მომზადებაც. შესაბამისად, კომბინატის დირექცია ცალკე აფინანსებდა გაზეთ „გორისკი ტექსტილჩიკის“ მუშაობას.

1960-იანი წლებიდან კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მონდომების წყალობით მაუწყებლობა დაიწყო „გორის ბამბეულის კომბინატის რადიოკვანძმა“, რომელიც დასაქმებულთა ინფორმირების ელექტრონულ წყაროს წარმოადგენდა. რადიოსადგური კომბინატის მიმდებარე დასახლებაში ავრცელებდა თავის სიგნალს და ძირითადად დაწესებულების მიმდინარე ამბების გაშუქებით შემოიფარგლებოდა.¹⁵

1960-70-იან წლებში საწარმოს ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მშრომელთა კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. დირექცია ბიუჯეტიდან აფინანსებდა მუშათა თვითმოქმედი წრეების ფუნქციონირებას. თვითმოქმედ წრეებში მონაწილე დასაქმებულები ეუფლებოდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგს,

¹³ ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

¹⁴ ჯავახიშვილი ვ. (1995) პირველი ნაბიჯები, გორი: გამომცემლობა „ქართლი“.

¹⁵ ფოკუს-ჯგუფი 1, გორი 14.04.2019.

ანყობდნენ გამოფენებს, ორგანიზებას უწევდნენ კონცერტებსა და თეატრალურ წარმოდგენებს, ლიტერატურულ და შემოქმედებით საღამოებს. გორში, კომბინატის დასახლებაში, დღემდე დგას „მუშათა კლუბის“ შენობა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან დარბაზად მიიჩნევა. დარბაზი საგანგებოდ აშენდა თვითმოქმედი წრეების მუშაობის წარმოსაჩენად.

კომბინატის მუშაობასთან ერთად გორში კიდევ ერთი დარგის – სპორტის განვითარებას მიეცა დამატებითი სტიმული. 1950-იანი წლებიდანვე გორის ფეიქართა პარტიული ორგანიზაციები ხელს უწყობდნენ საწარმოს მუშებს შორის სპეციალური შეჯიბრებების – სპარტაკიადების დაგეგმვას. ყოველწლიური სპარტაკიადების ტრადიციის დამკვიდრების პარალელურად, კომბინატში ჩამოყალიბდა თხუთმეტზე მეტი სპორტული სექცია. საბოლოოდ, სპორტული სექციების გაერთიანებას „ძირეული ფიზკულტურული საბჭოს“ ნაცვლად, სპორტკლუბ „დილას“ სტატუსი მიენიჭა.¹⁶ სპორტკლუბისათვის კომბინატის დაფინანსებით დაახლოებით 8 000 მასურებელზე გათვლილი სტადიონიც აშენდა, რომელიც დღეს თენგიზ ბურჯანაძის სახელს ატარებს და საქართველოს უმაღლესი საფეხბურთო ლიგის თამაშებს მასპინძლობს.

ჩამოთვლილი სამუშაოების მასშტაბურობის მიუხედავად, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მთავარ სოციალურ პროექტად და მიღწევად ფეიქართა ქალაქის მშენებლობა მიიჩნევა. ქალაქი გორი საწარმოს მშენებლობამდე აგრარული რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქში არ არსებობდა შესაბამისი ურბანული და კომუნალური ინფრასტრუქტურა ათასობით ახალმოსახლის მისაღებად. საწარმოში გორელების გარდა საქართველოს სხვადასხვა მხარის მკვიდრთა და მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლთა დასაქმება იყო გათვალისწინებული.¹⁷ ქალაქი ვერც სატრანსპორტო სისტემის განვითარების მაღალი დონით დაიკვეხნიდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ცალკე დასახლების მშენებლობის დაწყება. დასახლება დროისა და რესურსების დაზოგვის მიზნით ახლოს უნდა ყოფილიყო განთავსებული საამქროებთან.

კომბინატის დასახლების მშენებლობა 1947 წლიდანვე დაიწყო. ადგილობრივთა გადმოცემით, მასში გერმანელი ტყვეებიც მონაწილეობდნენ, რაც პირველ ეტაპზე აშენებული ტუფის ნაგებობების არქიტექტურაშიც შეიმჩნევა.¹⁸ 1965 წლის მონაცემებით, დასახლებაში უკვე 83 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი იყო აშენებული. საცხოვრებლის საერთო ფართობი 39.051 კვადრატულ მეტრს უტოლდებოდა, სადაც ჯამში 6.398 (მათ შორის 1.256 ქალი) ადამიანი ცხოვრობდა. რეკრეაციული და საცხოვრებელი სივრცეების საერთო მოცულობა 32 ჰა-ს აჭარბებდა.¹⁹

კომბინატის დასახლება დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ უბნად მიიჩნევა გორში. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად მიანიშნებენ, რომ მთელს

¹⁶ ჯავახიშვილი ვ. (1995) პირველი ნაბიჯები, გორი: გამომცემლობა „ქართლი“.

¹⁷ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი (1971) თბილისი: საბჭოთა საქართველო.

¹⁸ ფოკუს-ჯგუფი 2, გორი 22.06.2019.

¹⁹ ბერძენიშვილი ი. (1965) გორული ქსოვილის ოსტატები, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქალაქში ძალიან მაღალია მიგრაციის მაჩვენებლები. დეპოპულაციის ნიშნები ფეიქართა ყოფილი ქალაქის ტერიტორიაზეც შეინიშნება. მდგომარეობა შეიცვალა აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილმა მოსახლეობამ თავი შიდა ქართლის მთავარ ქალაქს შეაფარა. დევნილთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კომბინატის დასახლებაში დაიდო ბინა, რადგან საამქროების ყოფილი ტერიტორიის მიმდებარედ მათთვის სახელმწიფომ რამდენიმე კორპუსი ააშენა. ამასთანავე, ქალაქში დასახლების მსურველთა ყურადღებას ფეიქართა საცხოვრებელი შედარებით დაბალი ღირებულების გამო იპყრობდა.²⁰

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშაობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

ცხადია, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი უხარვეზოდ არ ფუნქციონირებდა. პირიქით, საწარმოს მუშაობა მრავალ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

თავდაპირველად, თავად ფეიქრების პოზიციაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. კვლევის ფარგლებში გამოკითხული კომბინატის მუშები ცალსახად მიანიშნებენ დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის შრომით პირობებზე. მათი მტკიცებით, მუშებს მთელი 8 საათის განმავლობაში აუტანელ ხმაურში უწევდათ თავიანთი მოვალეობების შესრულება. ხმაურთან ერთად, თანამშრომლებს ყოველთვის აწუხებდათ საამქროების მუშაობის შედეგად დარბაზებში დატრიალებული მტვერი და ბუდი. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირი გახლდათ ვენური და სისხლძარღვთა პროფესიული დაავადებები, განსაკუთრებით კი ქალებს შორის.²¹

გამოკითხული დარგობრივი ექსპერტები ერთმნიშვნელოვნად უსვამდნენ ხაზს საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურის ბაზის დაძველების პრობლემასაც. 1980-იანი წლების ბოლოს გორის საწარმოს უჭირდა სრულყოფილი პროდუქტის გამოშვება. საქსოვ დაზგებზე მასობრივად მხოლოდ ე.წ. „ერთი განის“ ანუ 80-90-სანტიმეტრიანი ქსოვილის დამზადება იყო შესაძლებელი, რაც ახალ სტანდარტებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა.^{22 23}

²⁰ ინტერვიუ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერ ერასტი ელიჯარაშვილთან 11.07.2019.

²¹ ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

²² ინტერვიუ პროფესორ დავით იაკობიძესთან 20.05.2019.

²³ ინტერვიუ პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან 12.05.2019.

თავი 2. გორის გამგეულის ქსოვილების კომპინატი 90-იან წლებში

პრივატიზაციის პოლიტიკა დამოუკიდებლობის პირველ წლებში

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები ქვეყნის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ახლადდაარსებულ სახელმწიფოს რამდენიმე სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირების გადატანა მოუწია. ომებმა და სახელმწიფო გადატრიალებებმა მძიმე დარტყმის ქვეშ დააყენა საქართველოს ეკონომიკაც, რომელიც ისედაც ტრანსფორმაციის ურთულეს პროცესს გადიოდა.



გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო პრინციპებზე გადასვლა უმძიმესი სოციალური პროცესებით ხასიათდებოდა, რადგან სხვადასხვა სუბიექტები იძულებულნი გახდნენ დროის მოკლე პერიოდში მათთვის სრულიად უცხო ეკონომიკური საქმიანობა წამოეწყათ, სრულიად ახალ წესებსა და რეგულაციებს დამორჩილებოდნენ. აღნიშნულ პროცესსა და 1990-იან წლებში საქართველოს მრეწველობის მდგომარეობას კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, შემდეგნაირად აღწერს: “საბჭოთა კავშირი შეიქმნა, როგორც დახურული სისტემა, იზოლირებული დასავლეთისგან... ქვეყანაში არ არსებობდა კონკურენცია, მოქმედებდა მბრძანებლური ეკონომიკის სტანდარტები. არ არსებობდა მოთხოვნაზე ორიენტირებული წარმოება, მომხმარებელს უნდა შეეძინა ის, რაც დაიგეგმებოდა ცენტრალური საგეგმო კომიტეტის მიერ, მათ ინდივიდუალური არჩევანის გაკეთების უფლება არ ჰქონდათ. შესაბამისად, როდესაც საბჭოთა კავშირი და მბრძანებლური ეკონომიკა დაინგრა, საწარმოებს პირველად მიეცათ ახალი ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების თავისუფლება. შედეგად, აღმოჩნდა, რომ

საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეეძლო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, რადგან: 1. საწარმო საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა და მისი საქონელი დაბალხარისხიანი იყო; 2. საქონლის ხარისხი ადეკვატური იყო, მაგრამ მისი წარმოება ძვირი ჯდებოდა; 3. საქონელს არც ხარისხი უვარგოდა და წარმოებაც ძვირი ჯდებოდა.“²⁴

მსგავსი ტიპის ეკონომიკისგან გათავისუფლების ერთ-ერთ მთავარ მეთოდად საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ადგილობრივი ხელისუფლების რიგმა წარმომადგენლებმა პრივატიზაციის პოლიტიკა მიიჩნიეს. პოლიტიკონომისტი ტატო ხუნდაძე აღნიშნავს: „პრივატიზაციის სტრატეგია გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე დაუყოვნებლივ გადასვლის მიდგომას ეფუძნებოდა. პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფოს აღარ უნდა დარჩენოდა ხელში ფასების განსაზღვრის აღარც ერთი ინსტრუმენტი. განკერძოება ტექნოლოგიური გადაიარაღების საჭიროების მქონე საწარმოებისათვის განადგურების წინაპირობას ქმნიდა, რადგან სამრეწველო ობიექტები კონკურენციაში შესვლას ვერ ახერხებდნენ. სხვადასხვა საწარმოზე მაშინ ხშირად ამბობდნენ: “მოდით ავდგეთ, პრივატიზაცია გავუკეთოთ და თუ არამომგებიანია, კონკურენციაში ვერ შედის, თავისით მოკვდება და ბაზარი უფრო ეფექტიან წარმოებას განახორციელებს.“ შედეგად, ინდუსტრიების ადგილას კვების ობიექტებმა და გასართობმა დაწესებულებებმა დაიწყეს ფუნქციონირება. პრივატიზაციის აღნიშნული პრინციპი ეფუძნება იმის უმტკიცეს რწმენას, რომ ბაზარი არის საუკეთესო მიმწოდებელი; ფასები არის საუკეთესო ინფორმაციის მიმწოდებელი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ; ფასი გვეუბნება, როგორი სახის გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ.“²⁵ სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს არ უფიქრიათ აგრესიული პრივატიზაციის შესაძლო ალტერნატივებზე, მათ არ ჰქონიათ ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი გეგმები, შედარებით მეორეხარისხოვანი გახლდათ პრივატიზაციის არასასურველი სოციალური ეფექტების დაძლევის საკითხიც. მთავარ პრიორიტეტს საბაზრო ეკონომიკის დაუყოვნებელ დაწერგვა წარმოადგენდა.

პრივატიზაციის პროცესის განსახორციელებლად საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა მეთოდი გამოიყენეს. პრივატიზაციის პირველი მოდელი მოიაზრებდა სახელმწიფო საკუთრების ნაწილის მოსახლეობისთვის ვაუჩერების სახით დარიგებას. სახელმწიფოს საკუთრების ნაწილის ინვენტარიზაციის, აღწერისა და შეფასების შედეგად მიღებული თანხა მოსახლეობის რაოდენობაზე იყოფოდა და თითოეული მოქალაქისათვის შესაბამისი ღირებულების ვაუჩერი იბეჭდებოდა. 1993 წელს საქართველოს მთავრობის შესაბამისმა სტრუქტურებმა სახელმწიფოს 150 მილიონ დოლარად შეფასებული ქონება 5 მილიონ მოქალაქეზე გაანაწილეს და პრივატიზაციის მიმართულებით პირველი მასშტაბური ნაბიჯი გადადგეს. საქართველოში მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა 30 დოლარის ღირებულების ვაუჩერი მიიღო, მაშინ, როცა საქართველოში საშუალო ყოველთვიური ხელფასი დოლარ-ნახევრის ეკვივალენტი იყო, პენსია კი 10 ამერიკული ცენტის ეკვივალენტურ თანხას უტოლდებო-

²⁴ ინტერვიუ პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან 12.05.2019.

²⁵ ინტერვიუ პოლიტიკონომისტ ტატო ხუნდაძესთან 09.06.2019.

და.²⁶ გაუსაძლისი სოციალური ყოფის გამო საქართველოს მოქალაქეები იძულებულნი იყვნენ, რომ ვაუჩერები გაეყიდათ. ვაუჩერების ფასი მოთხოვნა-მინოდების პრინციპით დარეგულირდა. შესაბამისად, ფაქტობრივად ვერავინ მოახერხა ვაუჩერის 30 დოლარად გაყიდვა. თბილისის სხვადასხვა უბნებში განთავსებულ, სახელდახელოდ შეკონინებულ ჯიხურებში ვაუჩერს სტაბილური ფასი ჰქონდა და ის 5-დოლარიან ნიშნულს უტოლდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც სპეციალურად დაქირავებული პირები კორპუს-კორპუს დადიოდნენ, ადგილზე აკითხავდნენ მოსახლეობას და პირდაპირ სადარბაზოებში ყიდულობდნენ საპრივატიზაციო დოკუმენტებს.²⁷

პრივატიზაციის მეორე მოდელი შრომითი კოლექტივებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას, „პირველი მყიდველის“ სტატუსის გადაცემას გულისხმობდა. მაშასადამე, სახელმწიფო საწარმოს აუქციონზე გატანამდე შრომით კოლექტივს სთავაზობდა დაწესებულების შესყიდვას. თუ შრომითი კოლექტივი ვერ მოახერხებდა ქარხნის ან ფაბრიკის გამოსყიდვას, ოფიციალური სტრუქტურები მხოლოდ ამ შემთხვევაში იწყებდნენ სხვა მყიდველის ძებნას. რიგ შემთხვევებში შრომით კოლექტივზე ობიექტები კანონით დადგენილი 15%-იანი შეღავათებითაც იყიდებოდა. ბუნებრივია, რომ შრომით კოლექტივებს მსხვილი ინდუსტრიების გამოსყიდვის რესურსი არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი გამოსყიდვისთვის აუცილებელ თანხებს ძირითადად დირექტორებისგან სესხულობდნენ. სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებლები ვალის ანუღირების სანაცვლოდ საწარმოს შესაბამის წილს თავიანთ სახელზე იფორმებდნენ. მაშასადამე, შრომითი კოლექტივები მათთვის მინიჭებული უპირატესობების მიუხედავად, მსესხებელთა წინაშე არსებული ვალდებულებების გაუსტუმრებლობის გამო მაინც ვერ ახერხებდნენ კერძო საკუთრების შენარჩუნებას.²⁸

პრივატიზაციის უკანასკნელი მოდელი პირდაპირი ან აუქციონის წესით გაყიდვას ეფუძნებოდა. შესყიდვის მსურველთა წრე განსაკუთრებით მცირერიცხოვანი იყო. შესაბამისად, სხვადასხვა აუქციონების მიმდინარეობისას ისინი ახერხებდნენ ერთმანეთთან შეთანხმებას და ხელოვნურად უგდებდნენ ფასს სავაჭროდ გამოტანილ საწარმოებს.²⁹

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის პრივატიზაციის პროცესი და მისი ძირითადი მახასიათებლები

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშაობის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა. საწარმოს პრივატიზების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა. პროცესი ფრაგმენტულობითა და არამდგრადობით ხასიათდებოდა.

²⁶ ინტერვიუ პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან 12.05.2019.

²⁷ იქვე.

²⁸ ინტერვიუ პროფესორ ავთანდილ სილაგაძესთან 17.04.2019.

²⁹ ინტერვიუ პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან 12.05.2019.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გორის საწარმოსთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი ცნობის ხელმოწერი თენგიზ სიგუა გახლავთ, რომელიც სათავეში ედგა სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობის შედეგად ჩამოყალიბებულ დროებით მთავრობას. მაშინდელი მთავრობის ლეგიტიმურობა ძირითადად ორი პარამილიტარული დაჯგუფების – „მხედრიონისა“ და „ეროვნული გვარდიის“ ძალაუფლებას ეფუძნებოდა.



1992 წლის 16 აპრილით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, პრემიერ-მინისტრმა გორის ბამბეულის საფეიქრო სამკერვალო გაერთიანება „გვარდიის“ ბალანსზე გადაიტანა. 1992 წლის აპრილისთვის გვარდიას სათავეში პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ აჯანყებული ერთ-ერთი სამხედრო მეთაური, თენგიზ კიტოვანი ედგა. სამხედრო ჯგუფები კონკრეტული ეკონომიკური სიმძლავრეების განკარგვის უფლებას ორ შემთხვევაში კარგავდნენ ხოლმე. უპირველეს ყოვლისა, პარამილიტარული გაერთიანებების ეკონომიკური შესაძლებლობების დასუსტება მათი ლიდერების პოლიტიკური გავლენების შემცირებასთან და ახალი, სახალხო ლეგიტიმაციის სტრუქტურების წარმოქმნა-გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული. რიგ შემთხვევებში კონკრეტულ საწარმოებზე კონტროლს სახელმწიფო გადატრიალების მეთაურები თავისი ნებით თმობდნენ, რადგან შესაბამისი ობიექტების ამუშავების შემთხვევაში პირველად სარგებელს ვეღარ ხედავდნენ. ამასთანავე, შეიარაღებული რაზმებისთვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა უხელფასოდ დარჩენილი ასობით მუშის სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა.³⁰

1994 წლისთვის საქართველოს უკვე ჰყავდა საყოველთაო არჩევნების გზით დაკომპლექტებული პარლამენტი, რომლის თავმჯდომარე სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით

³⁰ ინტერვიუ პროფესორ ავთანდილ სილაგაძესთან 17.04.2019.

სარგებლობდა. სახელმწიფოს მეთაურ შევარდნაძის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ახლად-დაარსებულ და სამოქალაქო თუ სეპარატისტული ომების შედეგად მრავალ ნაწილად დახლეჩილ სახელმწიფოში ელემენტარული ინსტიტუციური წესრიგის დამყარებისთვის შრომა იყო. შესაბამისად, მისი ძალაუფლების კონსოლიდაციის კვალდაკვალ გასამხედროებული ჯგუფების ქონებრივ უპირატესობათა შეკვეცაც დაიწყო. ამასთანავე, გვარდიის ლიდერებს მარაგების რეალიზების უმარტივესი ოპერაციების საშუალებით გორის საფეიქრო ცენტრიდან უკვე მიღებული ჰქონდათ პირველადი მოგება და საწარმოს საქმიანობაში შემდგომი მონაწილეობით აღარ იყვნენ დაინტერესებულნი.³¹ მაშასადამე, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში გვარდიის საქმიანობა, ფაქტობრივად, ერთჯერადი სოლიდური სარგებლის მიღებით ამოიწურა. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისთანავე ხელისუფლებამ და ადგილობრივმა კოლექტივმა საწარმოზე გავლენა დაიბრუნა.

1994 წლის 26 ივლისი კომბინატის მრავალწლიან ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. 1994 წლის 26 ივლისს გორის კომბინატის თანამშრომლებმა კულტურის სახლში ოფიციალურად დააარსეს სააქციო საზოგადოება „ლაინი“ (სახელწოდება კონკურსის გზით შეირჩა. გაზეთ „გორელი ფეიქრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში ინჟინერმა შალვა ხმალაძემ გაიმარჯვა. „ლაინი“ წინა საუკუნეში ლაჟვარდისფრად შეღებილ ქსოვილს ეწოდებოდა). სააქციო საზოგადოება „ლაინის“ მართვა წარმოების გენერალურ დირექტორ მერაბ ნიჟარაძეს დაევალა. სააქციო საზოგადოების წევრთა შორის კომბინატის რიგითი თანამშრომლებიც ირიცხებოდნენ.³² „ლაინის“ აქციონერთა რაოდენობა და კონცენტრაციის ხარისხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო.³³

საბაზრო რელსებზე საწარმოს გადაყვანის მიუხედავად, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელები ხშირად საგანგებო განცხადებებით მიმართავდნენ საქართველოს ხელისუფლებას და მთავრობისგან შესაბამისი დახმარების აღმოჩენას ითხოვდნენ. პრივატიზებული კომბინატის საქმიანობაზე განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენდა ენერგეტიკული და სავალუტო კრიზისები. ელექტროენერჯის მიწოდების თვეობით შეწყვეტის გამო საწარმო მუშაობის განახლებას ვერ ახერხებდა. ვალუტის კურსის მუდმივი ცვალებადობა კი გავლენას ახდენდა საფეიქრო საწარმოს მიერ აღებული საბანკო კრედიტების მსყიდველობითუნარიანობაზე. კომბინატის დირექციის მიერ შედგენილ ანტიკრიზისულ გეგმებს ბაზრის აბსოლუტური არამდგრადობის პირობებში განახლება არ ეწერა. ფეიქართა მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებდა საწარმოსთვის აუცილებელი ადგილობრივი ნედლეულის არარსებობა და მანქანა-დანადგარების მოდერნიზაციის გადაუდებელი აუცილებლობა.^{34 35}

ყოველსმომცველი კრიზისის პირობებში დირექცია ვერ ახერხებდა ხელფასების

³¹ ფოკუს-ჯგუფი №2, გორი 22.06.2019.

³² ჯავახიშვილი ვ. (1995) პირველი ნაბიჯები, გორი: გამომცემლობა „ქართლი“.

³³ ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

³⁴ ინტერვიუ პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან 12.05.2019.

³⁵ ინტერვიუ პროფესორ ავთანდილ სილაგაძესთან 17.04.2019.

გაცემას, დაგროვდა მრავალთვიანი სახელფასო დავალიანებები. დაბალშემოსავლიანმა აქციონერებმა საკუთარი წილებისა თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილის გაყიდვა დაიწყეს. კრიზისმა იმ მასშტაბს მიაღწია, რომ ცალკეული პირები საამქროს შენობების დაშლის შედეგად წარმოქმნილი მეორადი აგურის რეალიზებითაც კი ცდილობდნენ თავიანთი კუთვნილი შემოსავლის მიღებას.³⁶

უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო კომბინატის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე მაინც ცდილობდა გორის მთავარი სამრეწველო ცენტრის დახმარებას. დახმარება ნაკლებად ხარისხიანი, სტანდარტების შეუსაბამო პროდუქციის შეკვეთებში გამოიხატებოდა. მთავრობის შუამდგომლობით ე.წ. „ნახევარი განის“, გადაკერებული ბამბეულის ნაწარმი (ძირითადად ზენრები, ბალიშის პირები და ა.შ.) სამხედრო ყაზარმების გასაწყოებად თავდაპირველად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა. თავდაცვის სამინისტროს შემდეგ კომბინატის შესაბამისი საქონელი სასჯელალსრულების დეპარტამენტმა მოიმარაგა. სულ ბოლო ეტაპზე საქმეში „საქართველოს რკინიგზაც“ ჩაერთო და სამგზავრო მატარებლები გორული ქსოვილით აღჭურვა.³⁷ ცხადია, სახელმწიფოს აღნიშნული სპეციალური ღონისძიებები სააქციო საზოგადოების პროდუქციაზე მასობრივი მოთხოვნის გაჩენის წინაპირობა არ გამხდარა. სახელმწიფოს ხელშემწყობ ღონისძიებებს ერთჯერადი ეფექტი ჰქონდა.

სახელმწიფო შეკვეთების გარდა, ოფიციალური უწყებები ხშირად ვალების რესტრუქტურირებისა და ჩამონერის გზითაც ცდილობდნენ გორის საამქროების ამუშავების ხელშეწყობას.

სააქციო საზოგადოების დაფუძნება და სახელმწიფოს სიმბოლური ნაბიჯები წარმოების გადარჩენისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ, კომბინატი რამდენიმე მესაკუთრის ხელში აღმოჩნდა. სხვადასხვა საამქროს ჩარხები დაიშალა და მეტალის შემცველობის წყალობით მეტ-ნაკლებად სარფიანად გაიყიდა.

დღეს კომბინატის ადგილას მხოლოდ ნანგრევებია. გაკოტრების ოფიციალური გადანაცვლები 2004 წელს იქნა მიღებული. ქარხნის ადმინისტრაციის შენობა კი ტიხრებით არის დაყოფილი და საცხოვრებელ ბინებად იყიდება.

³⁶ ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

³⁷ ინტერვიუ პროფესორ დავით იაკობიძესთან 20.05.2019.

თავი 3. მოსაზრებები გორის ბამბეულის კომბინატის კომბინატის პერსპექტივის შესახებ

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების მხრიდან გორის ბამბეულის კომბინატის სივრცის სამომავლო პერსპექტივების შესახებ რამდენიმე ძირითადი მოსაზრება გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ სანარმოს ყოფილი მუშები დღემდე აუცილებლად მიიჩნევენ ქალაქ გორის ინდუსტრიული კომპლექსის ჩამოყალიბებას. მათი რწმენით, ქალაქში უმუშევრობის პრობლემის დაძლევისა და ელემენტარული სოციალური კეთილდღეობის მიღწევა მხოლოდ ძველი ან ახალი, სხვა პროფილის სამრეწველო სიმძლავრეების ამუშავების შედეგად არის შესაძლებელი. ისინი მიიჩნევენ, რომ ქალაქში დღესაც შემორჩენილია ადამიანური რესურსი, რომელსაც გადამზადების შემთხვევაში შესაბამისი სამუშაოების შესრულება შეუძლია.³⁸

მოსაზრება 1 – გორის კომბინატი, რომორც ნეკროეკონომიკის ობიექტი

2000-იან წლებში ქართველმა ეკონომისტმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ „ნეკროეკონომიკური თეორია“ შეიმუშავა. ავტორის მტკიცებით, ნეკროეკონომიკის საფუძველს ქმნიან პოსტსაბჭოთა ეპოქაში მოქმედი ის სანარმოები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის დაბალი ხარისხისა და სიძვირის გამო, საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით კონკურენტუნარიანნი არ არიან. ამგვარი სანარმოების მიერ წარმოებული საქონლისთვის ბაზრის გამოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ისინი მხოლოდ ზარალზე მუშაობენ. მათი არსებობის გახანგრძლივება მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერით განხორციელებული დაკრედიტების ღონისძიებებით არის შესაძლებელი. „ნეკროეკონომიკას პერსპექტივა არ აქვს, ეს მწარე სიმართლეა“.

აკადემიკოსი პაპავა გორის კომბინატს ერთმნიშვნელოვნად მიაკუთვნებს ნეკროეკონომიკის კატეგორიას. ის მიიჩნევს, რომ მასშტაბური საფეიქრო ინდუსტრიის გორის ტერიტორიაზე შენარჩუნება შეუძლებელი იყო და 1990-იან წლებში მისი დახურვა გარდაუვალი გახლდათ, პრივატიზაცია წამგებიანობისთვის განწირული დაწესებულების გადარჩენის წინაპირობა ვერანაირ შემთხვევაში ვერ გახდებოდა. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, პროფესორი არ ამართლებს სანარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულად განადგურების პროცესს.³⁹

მოსაზრება 2 – სუბსიდირება და ბრძელვადიანი

ეკონომიკური განვითარების პრინციპი

კვლევის რესპონდენტების მეორე ნაწილიც იმასვე ამტკიცებს, რომ გორის ბამბეულის კომბინატის ტრადიციული ფორმით შენარჩუნება შეუძლებელი იყო. თუმცა, ისინი არ მიიჩნევენ, რომ შიდა ქართლის მთავარ ქალაქში საფეიქრო მრეწველობის სრული გაჩერება გარდაუვალი გახლდათ. პოლიტეკონომისტები მხარს სუბსიდირების იდეას უჭერენ: „რა იქნებოდა აგრესიული, უკონტროლო და უპირობო პრივატიზაციის საპირისპირო მოდ-

³⁸ ფოკუს-ჯგუფი №1, გორი 14.04.2019.

³⁹ Papava V. (2005) *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*, New York: iUniverse.

ელი? სუბსიდიასა და ტარიფის დაწესებას ძალუძს ადგილობრივი პროდუქციის მოსახლეობისათვის ხელსაყრელი ფასის უზრუნველყოფა, მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შემოტანილ ნაწარმთან, რასაც მივყავართ პოლიტიკონომიურ საკითხთან. ცნობილი ეკონომისტის, ფრიდრიხ ლისტის აზრით, როდესაც ჩვენ შევდევართ გლობალურ ბაზარზე, ჩვენ ვიმყოფებით არათანაბარ პოზიციაში იმ კომპანიებთან და იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც გააჩნიათ კონკურენტული უპირატესობა; ჩანასახოვან ეტაპზე, როდესაც ამ საწარმოებს უჭირთ და არ აქვთ ცოდნა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების შესახებ, განვითარებისთვის მათ სჭირდებათ დაცვა, დაცვა სელექციურად, რომ საბოლოო ჯამში გადარჩნენ და არ გაიზარდოს უმუშევრობა. თუ დღეს საწარმო არაეფექტიანია, სუბსიდირებასა და შესაბამის დაგეგმვას შეუძლია მისი ეფექტიან ეკონომიკურ ერთეულად ქცევა. შეგვიძლია ყველაზე მარტივი და ცნობილი პრეცედენტი გავიხსენოთ. მაგალითად, როდესაც ამერიკაში „ტოიოტამ“ პირველად გააგზავნა თავისი მანქანები, ავტომობილები ფაქტობრივად არაფრად ვარგოდა და უკან დაუბრუნეს, მაგრამ 30-წლიანი სუბსიდირების შემდეგ „ტოიოტა“ გახდა ისეთი, როგორსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს“. ⁴⁰

მართლაც, რიგი ეკონომისტები ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებით „ვაშინგტონის კონსენსუსისგან“ განსხვავებული მიდგომების დამკვიდრების აუცილებლობაზეც სვამენ აქცენტს. სახელმწიფო მხოლოდ ეფექტიანობის პრინციპიდან გამომდინარე არ უნდა მოქმედებდეს. აუცილებელია გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე ფიქრი, რომელიც მოიცავს არსებული ინდუსტრიების შენარჩუნებასა (თუნდაც ისინი გარკვეულ მომენტში არაეფექტურები იყვნენ) და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე ფიქრს. ⁴¹

მოსაზრება 3 – ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობის წახალისება

2019 წელს გორის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობა დაიწყო ქალაქის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე. გენერალური გეგმის შემუშავების კვალდაკვალ მუნიციპალიტეტს ქალაქის სხვადასხვა ნაწილისთვის შესაბამისი ფუნქციის განსაზღვრაზეც უწევს ფიქრი. ბუნებრივია, მუშაობის დროს დღის წესრიგში დგას გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ყოფილი ტერიტორიისა და კომბინატის დასახლების პრობლემატიკაც. ქალაქ გორის მერია მიესალმება დასახლებაში ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობას. ოფიციალურ უწყებაში ფიქრობენ, რომ საფეიქრო ან სხვა ტიპის მრეწველობის განვითარებამნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ქალაქში არსებულ სოციალურ მდგომარეობას, ხელს შეუწყობდა უმუშევრობის აღმოფხვრას. თუმცა მერიაში აცხადებენ, რომ ინდუსტრიის განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური აქტორები ქალაქში ჯერჯერობით არ ჩანან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზემოქმედების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ (საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა სრულყოფილად არ განხორციელებულა. ქალაქები ვერ ახერხებენ ფისკალური დამოუკიდებლობის მიღწევას. მუნიციპალიტეტ-

⁴⁰ ინტერვიუ პოლიტიკონომისტ ტატო ხუნდაძესთან 09.06.2019.

⁴¹ რეინერტი ე. (2019) როგორ გამდიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად, თბილისი: „კავკასიური სახლის“ გამომცემლობა.



თა უმრავლესობა ცენტრალური ხელისუფლების ტრანსფერებზეა დამოკიდებული. ადგილობრივი ეკონომიკის სისუსტე ქალაქებს ცენტრისგან დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობას უზღუდავს. არ არსებობს ეკონომიკური ინიციატივების ქვემოდან ზემოთ გადაცემის ტრადიცია). აქედან გამომდინარე, ქალაქის ხელმძღვანელობა მის ხელთ არსებული საშუალებებით ცდილობს საკითხის გადაჭრას. გორის მერიაში მიაჩნიათ, რომ ქარხნის ნანგრევებზე ახალი საცხოვრებელი ბლოკი უნდა აშენდეს, რაც ქალაქის შესაბამისი ნაწილის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური შესაძლებლობაა. გორის მუნიციპალიტეტს უკვე არაერთმა პოტენციურმა ინვესტორმა მიმართა საამქროთა ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით.⁴²

⁴² ინტერვიუ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერ ერასტი ელიჯარაშვილთან 11.07.2019.

თავი 4. ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებული ქალაქების ალტერნატიული ეკონომიკური განვითარება: საერთაშორისო გამოცდილება გორისთვის

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში გორი არასდროს წარმოადგენდა მონოპროფილურ და ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებულ ე.წ. მონოქალაქს, მის ეკონომიკურ განვითარებაში ბამბეული კომბინატის ფუნქციონირება უდიდეს როლს თამაშობდა. ამას მოწმობს არამხოლოდ იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემები, როცა საწარმო გამართულად მუშაობდა, არამედ ის ზემოთხსენებული პრობლემები, რომლებიც კომბინატის დასახლებას დაუტოვა ეკონომიკური ფუნქციის დაკარგვამ: მასობრივი უმუშევრობა, განადგურებული ინფრასტრუქტურა, უსახლკარობის ზრდა და ემიგრაცია.

მსოფლიოში მრავლადაა იმის მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანამ საკუთარი დაბალკონკურენტუნარიანი მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების შენარჩუნება ან უკვე პოსტინდუსტრიული ქალაქების ტრანსფორმაცია შეძლო, თუმცა ყველა მათგანი უნიკალურია ეპოქისა და გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. დაგროვილი არაერთგვაროვანი მსოფლიო გამოცდილება, გორის შემთხვევაში, უფრო მეტად რელევანტურია არა მზა რეცეპტების, არამედ მუნიციპალური თუ სახელმწიფო მიდგომებისა და პოლიტიკის ანალიზის კუთხით.

გამომდინარე იქიდან, რომ დეინდუსტრიალიზებული ქალაქების იმგვარი ტიპი, რომელთაც გორი განეკუთვნება და წარმოების სექტორის მოსპობის თანმდევი მსგავსი სოციალური, ეკონომიკური და ურბანული პრობლემები უმეტესად პოსტსაბჭოთა სივრცეში გვხვდება, რთულია დასავლური გამოცდილების პირდაპირ გაზიარება. 2011 წელს, რუსეთისთვის მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში, რომელიც რუსეთის ეკონომიკური გეოგრაფიის განახლებას ეხებოდა, დეინდუსტრიალიზებული ქალაქების განვითარების წარმატებულ დასავლურ გამოცდილებად მოყვანილია პიტსბურგისა და გლაზგოს მაგალითები.⁴³ ორივე მათგანი მძიმე მეტალურგიის სფეროდან ეტაპობრივად გადავიდა მომსახურების სფეროზე, თუმცა, ეს არ მომხდარა მხოლოდ საბაზრო ძალების კარნახით, არამედ ეს იყო ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობების მიერ ეფექტურად დაგეგმილი პროცესი (ადგილობრივი ბიზნესისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით). ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ორივე მათგანი მსხვილი ურბანული აგლომერაციის ნაწილს წარმოადგენდა მდიდარ სახელმწიფოში და არ იყო ეკონომიკის მხოლოდ ერთ სექტორზე ან ერთადერთ საწარმოზე დამოკიდებული.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეს, დეინდუსტრიალიზებული და ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებული ქალაქების მართვის ყველაზე დიდი გამოცდილება რუსეთის ფედერაციას გააჩნია, თუმცა მას არ შეიძლება ბოლომდე წარმატებული ეწოდოს. 1990–იანი წლების შემდეგ, რუსულ საჯარო სივრცეში მონოქალაქების პრობლემა ყველაზე მწვავედ

⁴³ World Bank, Russia: Reshaping Economic Geography, 2011. იხ. <http://documents.worldbank.org/curated/en/863281468107678371/pdf/629050ESW0box30g0Economic0Geography.pdf>

2009 წლის ზაფხულში დადგა, როდესაც მცირე ინდუსტრიულ ქალაქ პიკალიოვოში რამდენიმე ასეულმა ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა დაგვიანებული ხელფასების გამო, სიტუაციის განსამუხტად კი თავად პრემიერ-მინისტრის ჩარევა გახდა საჭირო.⁴⁴

ბოლო მონაცემებით, რუსეთის მასშტაბით 319 ეკონომიკურად მონოპროფილური დასახლებული პუნქტი აღირიცხებოდა, საიდანაც მხოლოდ 71-ში შეინიშნება სტაბილური სოციალური და ეკონომიკური ვითარება, დანარჩენი 248 კი მეტ-ნაკლებად მძიმე ან უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება.⁴⁵ აღნიშნული მონოქალაქების უმთავრეს პრობლემებს წარმოადგენს:

- არადივერსიფიცირებული სანარმოო სექტორი;
- ადგილობრივი ბიუჯეტის დამოკიდებულება ადგილობრივ კომპანიაზე, როგორც გადასახადების მთავარ გადამხდელზე;
- მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური დაუცველობა ვინრო და ერთგვაროვანი სპეციალიზაციის გამო;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ემიგრაცია დაბალი ხელფასების გამო;
- საბინაო ფონდის გაუარესება;
- სოციალური უკმაყოფილების ზრდა.

ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებული ან დეინდუსტრიალიზებული ქალაქების პრობლემების გადასაჭრელად 2014 წელს, რუსეთის მთავრობისა და „ვენეშეკონომბანკის“ პარტნიორობით დაარსდა სპეციალური „მონოქალაქების განვითარების ფონდი“, რომლის მიზანია მონოქალაქებში სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციით, ინვესტიციების მოზიდვითა და ინფრასტრუქტურის განახლებით.⁴⁶ ფონდის საქმიანობა პროგრამულად 2025 წლის ბოლომდეა განსაზღვრული და ინსტიტუციურად იგი თანადაფინანსების, მუშახელის გადამზადებისა და ინვესტიციების მოზიდვის პრინციპით მოქმედებს.⁴⁷ ამბიციური გეგმების მიუხედავად, 2019 წელს ფონდის მუშაობის შეფასებამ აჩვენა, რომ იგი ვერ აღწევდა სასურველ შედეგებს, შესაბამისად, 2020 წელს სტრატეგიის გადახედვაა დაგეგმილი.⁴⁸

ამგვარი არაერთგვაროვანი საერთაშორისო გამოცდილების ფონზე, რთულია გორისთვის კონკრეტული გაკვეთილების გამოკვეთა, თუმცა ერთ ინდუსტრიაზე დამოკიდებული ან დეინდუსტრიალიზებული ქალაქების ეკონომიკის განვითარების გზაზე სამი უნივერსალური მიდგომის გამოვლენა მაინც შესაძლებელია. პირველი ასეთი მიდგომა

⁴⁴ Nesterov Ivan, Russia: From monotowns to pluritowns, 2019. იხ. <https://en.unesco.org/courier/2019-2/russia-monotowns-pluritowns>

⁴⁵ ჯამში მონოქალაქებზე რუსეთის მოსახლეობის 9% მოდის.

⁴⁶ Фонд развития моногородов იხ. <http://xn--80afd4affbbat.xn--plai/about/>

⁴⁷ Совет при Президенте РФ по стратегическому развитию и национальным проектам, Приоритетной программы Комплексное развитие моногородов, 2016 იხ. <http://static.government.ru/media/files/hZyhI428KMh69292CtUNqfVPFZF1cTAo.pdf>

⁴⁸ Кузнецова Евгения, Федорова Надежда, На новую госпрограмму развития моногородов потратят 57,3 млрд руб. РБК, 2019, იხ: <https://www.rbc.ru/politics/24/06/2019/5d0cbafc9a7947af87e8c419>

ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების მიერ ქალაქის პრობლემების სისტემური ანალიზი, რაც ითვალისწინებს მუდმივად განახლებადი კვლევების ჩატარებას, არსებული საკანონმდებლო ბაზის, ქალაქის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლების შესწავლას, ასევე მნიშვნელოვანი საწარმოების ისტორიული და თანამედროვე როლის შეფასებას ქალაქის განვითარებაში.⁴⁹

მეორე მიდგომა ქალაქის ეკონომიკის დივერსიფიკაციაა. ამისთვის საჭიროა ქალაქში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნა, სამუშაო ძალის მომზადება ან გადამზადება, იმპორტის ჩამნაცვლებელი პროდუქციის წარმოების დანყება და ა.შ.⁵⁰

მესამე მიდგომად შესაძლოა ეკონომიკური კლასტერების შექმნა ჩაითვალოს. ეკონომიკური კლასტერები წარმოადგენს კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში არსებული კომპანიებისა და ინსტიტუტების მჭიდრო ქსელს, რომელიც ერთობაში აყალიბებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ აქტივს.⁵¹ კლასტერების შექმნაში დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი კავშირები კერძო კომპანიებთან. დეინდუსტრიალიზებული ქალაქებისთვის ახალი ეკონომიკური ფუნქციის გამოძებნა უფრო მარტივდება კლასტერული მიდგომისას, ვინაიდან თუკი მას აქვს ხელსაყრელი მდებარეობა, ლანდშაფტი, საჭირო ცოდნის შემქმნელი ინსტიტუტები, სოციალური კაპიტალი ან სხვა უპირატესობანი, საერთო რეგიონულ ეკონომიკაში უფრო ეფექტურად ინტეგრირდება.

ამრიგად, აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გორის ბამბეულის კომბინატის დასახლებისა და თავად გორის ეკონომიკური განვითარება მხოლოდ საკუთარი, უნიკალური გამოცდილება შეიძლება იყოს. ამავდროულად, რელევანტური საერთაშორისო გაკვეთილებისა და მიდგომების ანალიზი ცალსახად აჩვენებს, რომ ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის აქტიური როლის, ფინანსებისა და კვლევების გარეშე განვითარება და მოდერნიზაცია შეუძლებელია.

⁴⁹ Кулай С.В, Зарубежный опыт модернизации и реструктуризации экономики моногородов, Государственное управление. Электронный вестник Выпуск № 73. Апрель 2019.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ Reut Institute, Economic Cluster. იხ. <http://reut-institute.org/en/Publication.aspx?PublicationId=3753>

დასკვნა

გორის ბამბეულის კომბინატის ისტორიის, პრივატიზაციისა და მუშაობის შეჩერების გამოცდილების კვლევამ, საერთაშორისო მაგალითების გაანალიზებამ რამდენიმე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს მონაწილეობის, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე გლობალური ეკონომიკის პერიფერიად ქცეულ ქვეყნებში სამრეწველო კომპლექსების გადარჩენა შეუძლებელია. სახელმწიფოს მხარდაჭერისა და მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ საბაზრო ძალებისა და აქტორების იმედად ყველა მსხვილი თუ საშუალო ინდუსტრია განადგურებისთვის არის განწირული. იმპორტსა და ვაჭრობაზე დაფუძნებული, სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესი არ არის მზად იმისთვის, რომ მრავალწლიან განვითარებაზე, გრძელვადიან და ინკლუზიურ შედეგებზე დამოუკიდებლად იფიქროს.

როგორ შეუძლია სახელმწიფოს ინდუსტრიული განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღება?

აუცილებელია, რომ ოფიციალურმა სტრუქტურებმა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა შეიმუშაონ. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ეკონომიკურ კლასტერებად დაყოფას, საქართველოს თითოეული რეგიონისათვის ეკონომიკური ფუნქციის განსაზღვრას. პოლიტიკის განხორციელებისას უნდა მოხერხდეს მეურნეობის კონკრეტულ დარგთა განვითარების გეგმების შემუშავება. გეგმათა შინაარსი ადგილობრივ ბიზნესთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებსა თუ შეთანხმებებს უნდა დაეფუძნოს. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად აუცილებელი გახდება ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის რეფორმირება და დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება. ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის განახლება შეუძლებელია განათლების სისტემის რადიკალური და ფუნდამენტური გარდაქმნის გარეშე, რათა ინდუსტრიული სექტორი უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიციური კადრებით. უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებში ჩარევა მეცნიერთა ავტორიტეტულ დასკვნებს ეყრდნობოდეს. მაშასადამე, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შემუშავება გამორიცხულია მაღალი რანგის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არსებობის გარეშე.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკის მესვეურები ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებს მხოლოდ ნეოლიბერალურ პრინციპებს უკავშირებენ. მესამედი საუკუნეა საქართველოს ეკონომიკის უცვლელ პრიორიტეტად რჩება სახელმწიფოს ჩაურევლობა საბაზრო პროცესებში, ბაზრის სრული დერეგულირება, პრივატიზაცია, იმპორტზე ორიენტირებული სექტორებისა და ტურიზმის ხელშეწყობა. ბუნებრივია, ამგვარ გარემოში სახელმწიფოს აქტიურ როლზე, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განერასა და განხორციელებაზე

მსჯელობა ჯერჯერობით რთულად წარმოსადგენია. თუმცა, 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა იმედს იძლევა, რომ ოდესმე საქართველოშიც გადაიდგმება ნაბიჯები რეალური სამეურნეო სექტორის განვითარებისთვის.

